მივლინების ანგარიში

მივლინების მიზანი: მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (**IAO**) საერთაშორისო სამდივნოს, კომიტეტების თავმჯდომარეებისა და მომხსენებელთა სხდომა და საერთაშირისო კონფერენცია თემაზე: ***„ერთიანობა მრავალფეროვნებაში და თავისუფლების ძირითადი პრინციპები ქრისტიანებისა და მუსლიმებისთვის ახლო აღმოსავლეთში: საპარლამენტო დიალოგი“.***

დელეგაციის წევრები: მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი და იაო-ს საერთაშორისო სამდივნოს წევრი **ზაქარია ქუცნაშვილი**; საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანი, **ლიკა ფერაძე.**

მივლინების ადგილი: ბეირუთი, ლიბანი

მივლინების თარიღი: 2018 წლის 2-5 აპრილი

პირველ დღეს, საერთაშორისო სამდივნოს სხდომაზე, რომლსაც თავმჯდომარეობდა იაო-ს გენერალური მდივანი, საბერძნეთის პარლამენტის წევრი, ***ანდრეას მიხაილიდისი*** დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განიხილეს. სხდომას ესწრებოდნენ მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნოს წევრები, კომიტეტების თავმჯდომარეები და მომხსენებლები. სხდომის დასაწყისში, გენერალურმა მდივანმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა **იაო-ს** მმართველი რგოლის წევრებს და მადლობა გადაუხადა **გასან მუხეიბერს**, ლიბანის პარლამენტის წევრსა და ამავდროულად **იაო**-ს რეგლამენტის კომიტეტის მომხსენებელს, რომლის დიდი ხნის სურვილი, რომ სხდომა მის ქვეყანაში ჩატარებულიყო, რეალობად იქცა. მან წარმატებები უსურვა კოლეგას ლიბანში მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სამდივნოს სხდომაზე მოისმინეს ანგარიშები ასამბლეის ეგიდით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, განიხილეს მომავალი საქმიანობისა და საიუბილეო ღონისძიებების გრაფიკი, შესწორებები შევიდა საერთაშორისო კონფერენციის დღის წესრიგში და სხვა. გაიმართა დისკუსიები და მიღეს გადაწყვეტილებები წევრ ქვეყნებში საიუბილეო ღონისძიებების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

რადგან 2018 წელი, საიუბილეო თარიღია მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეისათვის; შესაბამისად შეჯერდა საიუბილეო გენერალური ასამბლეის თემა: ***„საპარლამენტო დემოკრატია და ქრისტიანული ფასეულობები: მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნიდან 25 წელი“***, რომელიც გაიმართება ათენში, ივნისის ბოლოს, ქვეყანაში სადაც ორგანიზაცია დაფუძნდა.

ერთ-ერთ პუნქტად, საერთაშორისო სამდივნოს წევრები გაეცნენ ასამბლეის მიერ 2017 წელს გამოცხადებული საერთაშორისო იკონოგრაფიული კონკურსის შედეგებს, რომლის მოსამზადებელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. კერძოდ, აღინიშნა რომ ამ ეტაპზე წევრი ქვეყნებიდან უკვე მიღებულია ნამუშევრების უმრავლესობა. საკონკურსო ნამუშევრების შეფასების მეორე ტური გაიმართება მაისში, გამარჯვებულები გაინაწილებენ 5 საპრიზო ადგილს და საზეიმოდ დაჯილდოვდებიან გენერალური ასამბლეის საიუბილეო კვირეულში.

საერთაშორისო კონკურსში საქართველოდან მონაწილეობს ხუთი ხატმწერი, რომელთაგან ერთი - საერთაშორისო ჟიურის წევრად აირჩეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დელეგაციის აქტიური მხარდაჭერით ყოველწლიურად იაო-ს საერთაშირისო კონკურსებში ქართველი ხელოვანებიც მონაწილეობენ. მაგ: 2016 წლის საეთაშორისო ფოტოკონკურსში ***„ქრისტიანულ აღმოსავლეთში ძეგლების განადგურება,“*** I საპრიზო ადგილი ერგო ქართველ ფოტომოყვარულს.

საუბარი ასევე შეეხო წევრი ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულების, იაო-ს საიუბილეო საფოსტო მარკების გამოცემის საკითხს. საქართველოს დელეგაციის ინიციატივით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გამოსცემს საფოსტო მარკებს, რომლის დიზაინი ასამბლეის ლოგოს გამოყენებით ბერძნულმა მხარემ შეიმუშავა.

ლიბანის რესპუბლიკის პარლამენტის სხდომათა დარბაზში ქვეყნის ჰიმნითა და ლიბანის პარლამენტის ვიცე-სპიკერის მისალმებით გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ***„ერთიანობა მრავალფეროვნებაში და თავისუფლების ძირითადი პრინციპები ქრისტიანებისა და მუსლიმებისთვის ახლო აღმოსავლეთში: საპარლამენტო დიალოგი“.***

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიკრიბნენ მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის წევრი სახელმწიფოების - ალბანეთის, სომხეთის, კვიპროსის, საქართველოს, საბერძნეთის, უნგრეთის, იორდანიის, ლიბანის, პალესტინის, რუმინეთს, რუსეთის ფედერაციის, სერბეთის, სუდანის, შვედეთის, სირიისა და უგანდის პარლამენტის წევრები, რელიგიური ლიდერები და მათი წარმომადგენლები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები: პან-აფრიკული პარლამენტიდან, საპარლამენტთაშორისო კავშირიდან (IPU), ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან (WCC), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეიდან (PABSEC), მოძრაობა "პოლიტიკისათვის და პოლიტიკა ერთიანობისათვის“ (MppU) პრეზიდენტი და სხვა.

კონფერენციის გახსნით ნაწილში მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისის მართვის ევროკომისარმა, **ხრისტოს სტილიანიდისმა,** ხმელთაშუა ზღვის საპარლამენტო ასამბლეის (PAM) პრეზიდენტმა, **პედრო როკემ,** ისლამური სახელმწიფოების თანამშრომლობის საპარლამენტო კავშირის (P.U.I.C.) აპარატის უფროსის მოადგილემ, ელჩმა **ალი აშგარ სიჯანიმ** და სხვა მონაწილეებმა. წაიკითხეს სუდანის, საბერძნეთის, რუსეთის ფედერაციის, პან-აფრიკული პარლამენტისა და კვიპროსის პარლამენტების თავმჯდომარეების მისასალმებელი სიტყვები.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ ტრიბუნა დაეთმო მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის წევრი დეპუტატების, მოწვეული სტუმრებისა და

მომხსენებლების გამოსვლებს. მოისმინეს საინტერესო და აქტუალური მოხსენებები კონფერენციის წამყვანი თემის ირგვლივ - მომხსენებელთა ქვეყნებსა თუ რეგიონებში დემოკრატიის ნაკლებობასა თუ გამყარების გზებზე, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე, რელიგიათშორისო და ეროვნებათაშორისო პრობლემებზე, ლტოლვილთა პრობლემებზე, ტერორიზმსა და საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში არსებულ საფრთხეებსა და ამ ქვეყნებში არსებულ პრობლემებზე, მაგ: ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისის მართვის ევროკომისარმა ისაუბრა მის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო მისიაზე ქალაქ მოსულში, მისი თქმით, ამ ქალაქში საგანმანათლებლო პროგრესისათვის ხელშეწყობა ინკლუზიური სასწავლო გარემოს ხელშეწყობის გზით აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაბიჯია დემოკრატიისაკენ და ა.შ.

საერთაშორისო კონფერენციაზე სპეციალური მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, საერთაშორისო სამდივნოს წევრი **ზაქარია ქუცნაშვილი.**

თავის მოხსენებაში - *„ერთიანობა მრავალფეროვნებაში და თავისუფლებების ძირითადი პრინციპები ქრისტიანებისა და მუსლიმებისათვის ახლო აღმოსავლეთში“,* ზაქარია ქუცნაშვილი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორიცაა - ორი დიდი სამყაროს - ქრისტიანული და მუსულმანური სამყაროს მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობას, მისი თქმით „ამიტომ არის აუცილებელი კონსტრუქციული პოლიტიკური და რელიგიათაშორისი დიალოგი, რომ ვიპოვოთ ის, რაც გვაერთიანებს. გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა დავეყრდნოთ პირველ და უმთავრეს პრინციპს, რომ ჩვენ საერთო სახლი გვაქვს, - პლანეტა დედამიწა და მისთვის ზიანის მიყენება გაუთავებელი ომებითა და კონფლიქტებით, ისევ ჩვენ გვაზარალებს.“ მან აღნიშნა, რომ „უნდა დამთავრდეს რელიგიური ფუნდამენტალიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი ეთნიკური ნიშნით მსოფლიოს ყველა რეგიონში. ეს განსაკუთრებით რთული იქნება იქ, სადაც მცირე ტერიტორიაზე, რამდენიმე რელიგია იყრის თავს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. გულწრფელი სურვილის შემთხვევაში – ამისათვის მარტივი ფორმულა არსებობს: ერთმანეთში დავინახოთ საკუთარი თავი და სხვას ვუსურვოთ მხოლოდ ის, რასაც საკუთარ თავს ვუსურვებდით.“

ზაქარია ქუცნაშვილი თავის მოხსენებაში ასევე შეეხო მთავარ მსგავსებას ქრისტიანსა და მუსულმანს შორის: „ადამიანებს, ძალიან ბევრი რამ აქვთ საერთო. ერთნაირად უყვართ თავისი მშობლები, შვილები, მეგობრები, ერთნაირად ახარებთ მათი წარმატება, ერთნაირად სურთ მათთვის მშვიდობა და ბედნიერი მომავალი. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ადამიანებს უჭირთ დაინახონ ასეთივე ადამიანი მის იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეში და იყვნენ შემწყნარებლები ერთმანეთის მიმართ. სწორედ ამაში უნდა დაეხმაროს მათ რელიგია და ასწავლოს ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანი ცხოვრება. ეს არის პირველი კონცეპტუალური კორექცია, რაც აუცილებლად უნდა გავაკეთოთ პოლიტიკოსებმა“, განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა თავის გამოსვლაში.

მოხსენებების მოსმენის შემდეგ გაიმართა დისკუსია ძირითადი თემისა და კონფერენციის დეკლარაციის ირგვლივ. კონფერენციის ფორმატი სახელობით კენჭისყრას არ ითვალისწინებდა, არც რადიკალური შესწორებების საშუალებას, რის გამოც, დეკლარაციის ტექსტში არსებულ

რამდენიმე პუნქტში საქართველოსთვის მიუღებელი ფორმულირების გამო საქართველოს დელეგაციამ საერთაშირისო სამდივნოს ოქმში დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ის ხელს არ მოაწერდა დეკლარაციას.

კონფერენციის დასასრულს, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მრჩეველმა, **კოსტას მიგდალისმა** აღნიშნა, რომ დემოკრატია არის ისეთი პროცესი, რომელიც მუდმივად უნდა ვითარდებოდეს, ამისთვის კი საჭიროა საპარლამენტო სიტყვის გამყარება პრაქტიკით. ამ მიზნის მისაღწევად ამგვარ ფორმატებში შეკრება და მსჯელობა არის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ასპექტი, და ეს კონფერენცია, ამის წარმატებული გამოხატულებაა"- თქვა მან.

ლიკა ფერაძე,

საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის,
საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობათა განყოფილების
მთავარი სპეციალისტი

<u>იხ. დანართი #1</u>

<u>დამატებითი ინფორმაცია:</u> ვიზიტში მონაწილეობის შედეგობრივი ანგარიში

დამატებითი ინფორმაცია: ***ვიზიტში მონაწილეობის შედეგობრივი ანგარიში:***

- შედეგობრივად, მნიშვნელოვანი იყო **ზაქარია ქუცნაშვილის,** მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (**IAO**) საერთაშორისო სამდივნოს, კომიტეტების თავმჯდომარეებისა და მომხსენებელთა სხდომის მუშაობაში მონაწილეობა, როგორც **იაო-ს** საერთაშორისო სამდივნოს ერთ-ერთი არჩეული წევრის (სულ 7 წევრი). მნიშვნელოვან საკითხებს შორის, ცალკე პუნქტად განიხილებოდა **იაო-ს** საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიმდინარე და მომავალი საქმიანობები, შეაჯერეს და მოისმინეს რიგი ორგანიზაციული და სხვა მნიშვნელოვანი ბიუროს გადაწყვეტილებები, მათ შორის, ორგანიზაციის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს დელეგაციის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში.

  ეს იყო დელეგაციის პირველი ვიზიტი (2017 წლის ივნისის ასამბლეის შემდეგ), რამაც საშუალება მისცა საქართველოს დელეგაციას, როგორც იაო-ს სრულფასოვან წევრს ორგანიზაციის ყოველდღიურ და სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისათვის.

- შედეგობრივად, ასევე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა და მასზე ვრცელი მოხსენებით გამოსვლა. **იაო-ს** საერთაშორისო სხდომის ფარგლებში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია, ეს ის ფორმატია, სადაც საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრს, შესაძლებლობა ეძლევა გამოვიდეს სიტყვით და დააფიქსიროს თავისი აზრი კონფერენციის თემასთან დაკავშირებით, ასევე დაამყაროს თუ განაახლოს მივიწყებული კონტაქტები ისეთ მრავალმხრივი წარმომადგენლობითი აუდიტორიის წინაშე, როგორიც არის ზემოხსენებული საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტის წევრები, სამეცნიერო წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე საეკლესიო წრეებისა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებთანაც საქართველო დაკავშირებულია სხვადასხვა საპარლამენტო ფორმატით.

- შედეგობრივად მნიშვნელოვანი იყო ლიბანში (ბეირუთში) ვიზიტი, იმის გამო, რომ ლიბანის სახელმწიფო მსგავსად საქართველოსი მრავალეთნიკური და მრავალკონფესიურია. შესაბამისად, მათი გამოცდილება სამოქალაქო ომის შედეგების დაძლევისა და საერთო მშვიდობიანი მომავლის მშენებლობაში ჩვენთვისაც საყურადღებოა; თუ ქართულ საზოგადოებაში მთავარ რელიგიას წარმოადგენს საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია, ლიბანში, ქრისტიანული წარსულის მიუხედავად 40%-მდე შემცირდა ქრისტიანების რაოდენობა. შესაბამისად, რელიგიურ კუთვნილებაზე განსაზღვრულ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეთნიკური შემადგენლობა. ლიბანი, როგორც ერთ-ერთი არაბული სახელმწიფო, ყველაზე ლოიალურად უდგება რელიგიის საკითხებს, რაც განაპირობებს ამ ქვეყნის სტაბილურობას და განვითარებას.

- შედეგობრივი თვალსაზრისით, ლიბანი ასევე საინტერესოა საქართველოს მსგავსად თავისი სატრანსპორტო კორიდორით. მისი პორტები წარმოადგენენ ხმელთაშუა ზღვაზე ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ სატრანსპორტო პორტებს. ლიბანში განვითარებულია საბანკო სისტემა და ტურიზმი, როგორც ეკონომიკის წამყვანი დარგი ანუ ამ ქვეყნის ეკონომიკა ძირითადში დამყარებულია მომსახურების სერვისებზე, რაც გამოიხატება სატრანსპორტო, საბანკო და ტურისტული მომსახურების გაწევაში. თუ საქართველო ეკონომიკის ამ სამი დარგის გარდა განავითარებს სოფლის მეურნეობას, ენერგეტიკას და სამთომადნო ინდუსტრიას ეს იქნება იმის საშუალება საქართველოსათვის, ლიბანისაგან განსხვავებით, შეთავაზებული იყოს საქართველო არა მარტო მომსახურების გამწევ, ასევე საქონლის მიმწოდებელ სახელმწიფოდ.

- შედეგობრივი თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იზრდება მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ჩვენი მოკავშირე თურქეთის რესპუბლიკისადმი. ამ კუთხით განსაკუთრებით გამოირჩევა არაბული სამყარო, სირიის, იორდანიის, ლიბანის და საბერძნეთის სახით, რომლებიც ყველა თავიანთ გამოსვლაში - ლიბანის პარლამენტში მიმდინარე კონფერენციის ***„ერთიანობა მრავალფეროვნებაში და თავისუფლების ძირითადი პრინციპები ქრისტიანებისა და მუსლიმებისთვის ახლო აღმოსავლეთში: საპარლამენტო დიალოგი“-ს*** ფარგლებში არ მალავდნენ თავის აგრესიულ დამოკიდებულებას თურქეთის რესპუბლიკისადმი.

კომენტარი (1):
2018 წლის 19 მარტს, ბეირუთში ვიზიტისთვის მზადების ფარგლებში საგარეო საქმეთა სამინისტროში შედგა სამუშაო შეხვედრა. დელეგაციის ხელმძღვანელი **ზ. ჭუცნაშვილი** და დელეგაციის მდივანი **ლ. ფერაძე** შეხვდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსს, **ილია კობერიძეს.** შეხვედრაზე განხილული იყო საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაციის ის პუნქტები, რომლებიც საქართველოს ოფიციალურ პოზიციას არ ემთხვეოდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრის შემდგომი რიგი კონსულტაციების შეჯერების საფუძველზე, მუდმივმოქმედ დელეგაციას მიეცა რეკომენდაცია ზოგადად თავი შეეკავებინა დეკლარაციასთან მიმართებაში.
კომენტარი (2): ლიბანის პარლამენტში მეორე ღონისძიებად გამართულ საერთაშორისო კონფერენციის დასასრულს, დეკლარაციაზე ოფიციალური კენჭისყრა არ გამართულა, რადგან კონფერენციის ფორმატი განსხვავებულია ასამბლეის სხდომის ფორმატისაგან, მაგრამ მიუხედავად ამ ფაქტისა საქართველოს მუდმივმოქმედმა დელეგაციამ დააფიქსირა საქართველოს დელეგაციის ოფიციალური პოზიცია **იაო**-ს საერთაშორისო სამდივნოსთან - თვით საერთაშორისო კონფერენციის ოქმში.

ლიკა ფერაძე,

საქართველოს პარლამენტის
მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანი
მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში